




- გურჯაანელთა სიძჳვა და საქმე
- საბჭოთა ჩოგბურთელის პასუხი რასისტებს
- გოლიათი — რინგის კვადრატზე



ეროვნული ჩოგბურთელები

ყველანი — თბილისის იპოდრომზე!

5 ივლისს თბილისის იპოდრომზე, რესპუბლიკაში პირველად მოეწყობა დიდი საპარო დღესასწაული. საზეიმო გახსნას შეველმფრენები გაატარებენ ვ. ი. ლენინის პორტრეტს, სსრ კავშირისა და საქართველოს დროშებს, დოსააფის ალაშს, გაიმართება სამხედრო და სამოქალაქო თვითმფრინავთა ჩგუფური ფრენა.

ქო თვითმფრინავთა ჩგუფური ფრენა. მეორე განყოფილებაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი შიხინა წარმოადგენს ინდივიდუალურ პილოტაჟს სპორტულ თვითმფრინავზე, ოსტატი პოდშვა—პილოტაჟს პლანერ „ა-18“-ზე, ოსტატი ტრეგულოვი — პილოტაჟს სპორტულ თვით-

მფრინავ „იაკ-18“-ზე, ოსტატი შაროვი კი — შვეულმფრენ „მი-1“-ზე. საინტერესო სანახავი იქნება ოსტატების სემიონოვის, კლიმოვისა და შუჩკოვის ჩგუფური ფრენა (სამი თვითმფრინავით) „თავი თავთან“, აგრეთვე ოსტატების ლანცოვისა და გულიმას გამოსვლები შვეულმფრენით, აკრობატული ნომ-


რები ტრაპეციაზე, „ნესტეროვის“ მარყუხი... მესამე განყოფილება დაეთმობა პარაშუტისტებს, რომლებიც გადმოხტებიან როგორც ჩგუფურად, ასევე ცალ-ცალკე. მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი სელივესტროვა და მსოფლიოს რეკორდსმენი, ჩვენი ქვეყნის ჩე-

მპიონი კაჯაკოვი განახორციელებენ ერთდროულ ნახტომს. ჩგუფურ ხტომას (პარაშუტების პარაშუტე-ლით) შეასრულებენ მსოფლიო რეკორდსმენი, სპორტის ოსტატები კრუტოვი და ბიკმურდინი. ოსტატები სადლოვი და შაბაშოვი მაყურებელს აჩვენებენ ნახტომს „შეერთებით“.

საინტერესო იქნება მსოფლიოს რეკორდსმენი ქალების სადლასის, შნიტოვასა და მარინას ჩგუფური ხტომა „პირამიდა“ და პროგრამის სხვა ნომრები. გაიმართება აგრეთვე ინდივიდუალური ხტომა დაშვების სიზუსტეზე, სხვებთან ერთად აქ ძალიან ცდიან თბილისის ნახაობას!

ავიანაპორტკლების სპორტის ოსტატები გამრეკელაშვილი და გოგიაშვილი, პირველთაწარმოვანი გაჩეჩილაძე და სხვები. დასასრულს — საპარაშუტო ღესანტი. ყველანი თბილისის იპოდრომზე! ნუ დააკლდებით ამ საინტერესო სახაობას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



ნაპარტველს სსრ საორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საპარტველს რასუხალიაური საზოგადოებათა ორგანიზაციისა
ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзам


ბამოცემის 80-20 წელი

№ 125 (2488) შაბათი, 27 ივნისი, 1964 წ. შანი 3 კაპ.

დიდი პრიზი — მასპინძლებს

მოსკოვის „დინამოს“ სასპორტო დამთავრდა ტუვიით მსროლელთა საერთაშორისო შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის დიდ პრიზზე. მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, უნგრეთის, გდრ-ის, ბულგარეთის, მონღოლეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდები. პროგრამა ოლიმპიური იყო. პროგრამის 12 სახეობიდან მასპინძლებმა გაიმარჯვეს 8 ვარჯიში და დიდი პრიზიც დაისაკუთრეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკელები, მესამე — მონღოლები.

ცალკეული ვარჯიშებიდან საბჭოთა სპორტსმენების დიდი უპირატესობით აღინიშნა სამატჩო პისტოლეტიდან 50 მეტრზე სროლა. მასპინძელთა ოთხეულმა მოაგროვა 2.206 ქულა და ჩნ ქულით აჯობა მეორე პრიზიორს — ჩეხოსლოვაკიის კოლექტივს. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე წოლელა სროლაში პირველი იყო გდრ-ის გუნდი — 2.318 ქულა. ჩვენები ჩამორჩნენ 7 ქულით. პირადში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ვ. შამბურკინს (სსრ კავშირი) — 586 ქულა. მანვე გაიმარჯვა სტანდარტზე (3x40) სროლაშიც. აღიარებენ, რომ საბჭოთა სპორტსმენების შედეგები ტოკიოს ოლიმპიადის წინ დამაჳკაცოფილებელია.



ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავე ბ. ნიკიტინი თავის გამოცდილებას სისტემატურად უზიარებს ახალგაზრდებს.

სურათზე: ბ. ნიკიტინი (მარჯვნივ) ავარჯიშებს ახალგაზრდა პერსპექტიულ სპორტსმენს, რესპუბლიკის რეკორდსმენს ჭაბუკა შორის ს. კრავცოვს.

ფოტო სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

სუპერსპორტული საიტი

◆ **მუთაისი**, 26 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). აქ დაიწყო რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა საგზატყეველო ველოსპორტში, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ზუგდიდის წარმომადგენლები. დღეს ჩატარდა შეჯიბრება პროგრამის ორ სახეობაში. ქალთა შორის 15-კილომეტრიანი დისტანცია მოგვ. ზოლოსკაიამ (თბილისი) — 24.06. მომდევნო ადგილებზეც მისა თანაგუნდელები — დ. სტაშევსკაია და ა. პუტიატინა გამოვიდნენ. ვაჟთა 75-კილომეტრიანი დისტანციაზე პირველი იყო თბილისის გუნდი (ვ. ყეხვა, გ. ყაველაშვილი, ე. მელოვი, ა. სტაშევსკი) — 1:50.07.

◆ **პოტანინი**. ქალაქის სტადიონზე განმეორებით ოლიმპიურ შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთისა და იტალიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს სტუმრებმა. ერთადერთი ბურთი თავის კარში ჩაჭრა პოლონელმა მცველმა იტალიელი დომენგინის ზუქლინერის დარტყმის შემდეგ. როგორც ცნობილია, პირველი თამაშიც იტალიელთა წარმატებით დამთავრდა (3:0). ამრიგად, იტალიის ნაკრებმა მოიპოვა ტოკიოს საგზური.

◆ **მოსკოვი**, 26 ივნისი. ძალსინთაში ევროპის ჩემპიონატზე დღეს ერთმანეთს შეეჯიბრნენ ქვეშეუბუქი წონის შტანსისტები. ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ე. კაცურამ, რომელმაც სამცილის ჯამში მოაგროვა 355 კგ. მეორე ადგილზე რუმინელი ს. ბალა (362,5), მესამეზე — უნგრელი ი. ფელი (360).

საღამოს ფიგარანაზე გამოვიდნენ მსუბუქი წონის ძალსინთები. წარმატება კვლავ საბჭოთა სპორტსმენს ხვდა წილად. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ე. კაპლუოვმა სამცილის ჯამში 417,5 კილოგრამი დააგროვა, რითაც ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა და ს. ლოპატინის მსოფლიო რეკორდიც გაიმეორა.

◆ **მარბრ** (იტალია). წარმატებით განაგრძობს წინსვლას შაშხი მსოფლიო პირველობის ასპარეზობაზე მოსკოველი დილოსტატი ვ. შჩოგოლევი. X ტურში მისი შეხვედრა კუპერმანთან ყაიმით დამთავრდა. 10 ტურის შემდეგ შჩოგოლევის 11 ქულა აქვს. იგი კვლავინდებურად ლიდერობს.

◆ **მოსკოვი**, 26 ივნისი. დღეს იუგოსლავიის გამგზავრა საბჭოთა წყალბურთელების ოლიმპიური ნაკრები, რომელიც იქ რამდენიმე აშხანაგურ მატჩს გამართავს. იუგოსლავიიდან ჩვენი წყალბურთელები რუმინეთს წავლენ.

◆ **რიბა**, 26 ივნისი. დღეს სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ოლიმპიურმა გუნდმა განმეორებით მატჩში დაამარცხა იაპონიის მეორე ნაკრები — 3:0.

◆ **ლენინგრადი**, 26 ივნისი. მძლეოსნთა საქალაქო შეჯიბრებაზე ბირთვის კვრამი დღეს ბრწყინვალე შედეგი აჩვენა 19 წლის ნ. ჩიუოვამ — 16.23 მ. ეს მაჩვენებელი იუნიორთა მსოფლიო მიღწევაა.

◆ **ამსტერდამი**, 26 ივნისი. დღეს აქ დაიწყო საქალაქო მატჩი ს. რეშევსკისა და ლ. პორტიუს შორის მერვე პრეტენდენტის გამოსავლენად. პირველ პარტიაში გაიმარჯვა რეშევსკი.

მრიშხეპარ — უანასკენლ ვაჳვა

გუშინ თბილისში პირველი შესვედრა ჩაატარა უნგრეთის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა გუნდმა. სტუმრებმა ითამაშეს თბილისის „ბურვესტნიკთან“.

მატჩის პირველი ნახევარი მოიგეს უნგრელებმა — 32:30. „მომგებიანი“ ბურთი უანასკენლ წამზე ზაადლო იეგლიძისა.


უსტად ანალოგიური შემთხვევა გამოირდა მატჩის ბოლო წამზე: უნგრელი სპორტსმენები წინ იყვნენ — 66:65, როდესაც ქველიძემ უსუსტი სროლით გამარჯვება თავის გუნდს მოუტანა — 67:66.

ლევის წარმატვ გარეუბანში — მაიოროვაში გაიმართა მოტოკროსის მსოფლიო ჩემპიონატის VIII ეტაპი 500 კმ სანტიმეტრის კლასის მოტოციკლებით. სტარტზე გამოვიდნენ ავსტრიის, ინგლისის, გდრ-ის, დანიის, ფინეთის, შვეიციის, კანადის, შვეიცარიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები.

შეჯიბრების 1750-მეტრიანი ტრასა მეტისმეტად რთული რელიეფისა იყო. ორი რბოლის ჯამში გაიმარჯვა ინგლისელმა ჯ. სმიტმა, რომელიც 52 ქულით სათავეში მოექცა ჩემპიონატს. მეორე ადგილზე გადინაცვლა შევლმა რ. ტილინმა.

სურათზე: რბოლის მომენტი, აღმართს ძლევენ პ. პერსონი (შვეიცია) და კანადელი ბ. ნორმანი (მარცხნივ).

ფოტო ვ. სილინისა. (საკლეპია).



ჩვენ გვჯერა მათი — სიძველეს გაანაღლებენ!

მას იშვიათად ნახავდით კაბინეტში. გურჯაანის სასოფლო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივნის პოსტის დაკავებისთანავე შეუდგა იმ მიზნების მიკვლევას, რაც რაიონს ჯერ ისევ უშლიდა ხელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში შემდგომი განვითარების შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენებას. დადილი კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობებში... ადგილებზე ასლო უცხოებოდა გამოვლინდა საქმიანობას, ხელმძღვანელ ამხანაგებს, ხალხს, მათ, ვინც დაუღალავი შრომით ქმნის საერთო დიდებას. უწონებდა მოწონებებს, შიშველებს, მათთან ერთად სახანაგდა ზარელების გამოსწორების გზებს, ბიუროს მსახურობის საგნად ხდიდა მტკიცებულ საქმეებს...

არ დაეწყებოდა კულტურისა და განათლების დარგები, ფიზკულტურა და სპორტი. სპორტი კი განსაკუთრებით უყვარს გურჯაანელ ახალგაზრდობას. მუდმივად სპორტსმენა (სტუდენტობისას თბილისის უნივერსიტეტის ფეხბურთელთა ნაკრებში თამაშობდა), თავადაც იცოდა: ახალგაზრდობის კეთილი სურვილების დაკმაყოფილება კიდევ უფრო აამაღლებდა მათ შრომის ნაყოფიერებას.

რაიონის ფიზკულტურულ ცხოვრებაში ბევრი რამ არ იყო სათანადო სიმძლავრე. ფიზიკურ თვალსა და გამარჯვებულ მარჯვენას საჭიროებდნენ საკულტურული და სასკოლო ფიზკულტურული ორგანიზაციები, წამყვანი გუნ-

დები, სათანადო სრუნვას მოითხოვდა ბავშვები. ამჟამად იყო — სპორტკავშირის თავმჯდომარის გ. ჯაჯანიძის თუმცა კი გამოვლინება არ აკლდა, მაგრამ ერთ ადგილზე ხანგრძლივად მუშაობამ თავისებური დალი დასავსების საქმიანობას: კმაყოფილებდა მცირედით — გემუბნის შესრულებით, თითო-ორთა კოლექციის წარმატებით, სხვებში კი...

საჭიროდ ცნეს კადრების გადასაღება, ახალი კაცის გამოძენა. ...პირადად არც ეს საქმის გადაღწევაში პარტიული კომიტეტის მდივანს გ. ახალგაზრდობის კანდიდატის მხნამი მეთრე მდივნის შ. ბასილაშვილის წინადადებით არაშენიან საქმიანობის ფიზკულტურის მასწავლებელ დ. ნაცვლიშვილზე შეერდებოდა. ამ ახალგაზრდის საუკეთესო რეკომენდაციის მიხედვით საქმიანობა წარმოადგენდა. თავისი საქმის სპეციალისტმა, რაიონის პატარა სოფლის ახალგაზრდებიდან რამდენიმე კარგი მძლეოსანი აღიარდა, რომლებიც რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე ასახელეს რაიონი.

საქმიანობის ასე იყო საჭირო. გ. ჯაჯანიძის „კოლმეურნის“ რაიონულ ჩაბარებას, დ. ნაცვლიშვილს — სპორტკავშირი. მოჭადრაკეთა ენაზე რომ ვთქვათ, რთული „ფარინატი“ ზუსტად იქნა გამოთვლილი. დ. ნაცვლიშვილმა გაამართლა იმედი. რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი ამაღლებისთვის ბევრი იყო გასაკეთებელი. და-

იწყეს საფუძვლით — ბავშვების ქსელის გაფართოვებით.

იმ დროისთვის ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე „ბ“ კლასში სწორედ გურჯაანის ემლეოდა ადგილი. სტადიონი კი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. პარტიული კომიტეტის მდივანმა სხვა ხელმძღვანელებიც გაიყოლია, სპორტკავშირთან ერთად საერთო ძალით დარაზმა ყველა მშრომელი, სოფლის მეურნე, მისწავლე, გამიცხადდა წინაფეხლობითი სახალხო ლაშქრობა...

ცოცხე ზამთრის მიუსხედავად, ღონიერად შეეძინენ მიწას ყველა პრიფისი ადამიანები. ახალგაზრდების მიერ შეფორებული ასობით ტონა ჯარის საფასურით შეიძინეს აუცილებელი მასალა და სულ რაღაც თვისთვის შემდეგ მწყობრში ჩადგა რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი ათათასიანი ტრიბუნებითა და ყველა სხვა ატრიბუტით. ცოტა დააკლდა მძლეოსნური სექტორებისა და 25-მეტრიანი საკურათ აუზის მშენებლობის დამთავრებასაც. მაგრამ სპორტი სპორტია და როცა საქმემ მოითხოვა, შრომის ფრონტში მემინდერობასა და შეეგნებოდაში გადაინაცვლა ტირანაულის დაბინავებამდე, შემდეგ კი...

გურჯაანელებს განზრახული აქვთ მომავალი სქონისთვის სპორტულ ნაგებობათა რიგებს შემატონ ფრენბურთისა და კალათბურთის ახალი ბავშვები, დაამთავრონ სასტენდო სროლის ნაგებობა კულტურისა და დასვენების პარკში. აგრეთვე სხვა სამუშაოები.

კარგი წამოწყება გადამდები აღმოჩნდა. თუ მანამდე აქ თითო-ორთა სახანაგო კოლექციები იყო, ახლა მოწინავეებს ტოლს არ უდებენ გვილისციხის, ვაზისუბნის, ჩუმლავის

საკოლმეურნეო, ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის, გურჯაანის ღვინის ქარხნის, კაჭრეთის, სოფ. გურჯაანის, შრომის საშუალო სკოლების კოლექციები. ფეხბურთელთა ახალგაზრდა გუნდი „ალაზანი“ დიდ ასპარეზზე გავიდა. იგი თუმცა გურჯაანის სახელს ატარებს, მაგრამ მთელ კახეთს „თავისად“ მიაჩნია, — ყველა მატჩზე ასობით მოყვარულს სახავთ თელავიდან, სიღნაღიდან, ყვარლიდან, ლავიდან, საგარეოდან.

აქ კარგად იციან: მხოლოდ ფეხბურთით ამინდი არ შეიქმნება. მატჩი ამ სახეობით შედგება რესპუბლიკაში წამყვანი პოსიციების დაკავება.

რაიონში ბევრია კართული ჭიდაობის, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობისა და სხვა სახეობათა მოყვარული. ამიტომ, არც ისინი გამორჩენილი მსადგელობიდან. ახლა იშვიათად ნახავთ სოფელს, სადაც თითქმის ყოველ კვირას არ იმართებოდა კართული სტილის მოქიდავითა ახანაგური შეჯიბრება. რაიონული პირველობის I ტურის ფინალში მ საუკეთესო გუნდმა მოიყარა თავი.

დ. ნაცვლიშვილთან ერთად რამდენიმე კოლექციები მოგვარე. ბევრი კარგი ვანაჟ, სოფელ დამაფორბელები, შემდეგ კი შთაბეჭდილებათა გასაზიარებლად კვლავ ფეხბურთეო პარტიული კომიტეტის მდივანს.

გულახდილი საუბარი დაიწყო გ. ახალგაზრდობა:

— კომუნისტები თავს არ იქებენ. მათ სახელს მათივე საქმიანობა ჰქმნის, მაგრამ გამოვიტყდებით: ჩვენი, ყველა გურჯაანელი, სურვილია ფიზკულტურისა და სპორტში მოწინავენი ვიყოთ. სამისოდ გადავდგით პირველი ნაბიჯი, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ვფიქროს სუსტი კოლექციები, რომელთა მანქანებში ერთგვარად ამუშრუქებენ ჩვენს წინსვლას. განსაკუთრებით საყვედურის ღირსნი არიან ჩანანას (თავმჯდომარე ყ. ზირაქაშვილი), არაშენ-

დის (თავმჯდომარე შ. ბასილაშვილი), ჯინიძის (თავმჯდომარე შ. ჯინიძე-შვილი), — მანანას (თავმჯდომარე ვ. არევაძე) კოლმეურნეობები, მუშაუნის ღვინის ქარხანა (დირექტორი ვ. შაველიძე), სადაც, როგორც თქვენ ნახეთ, დღემდე არაა შექმნილი ფიზკულტურული საბჭოები, ან ფორმალურად არსებობენ. მე დავეუბრებოდი, რომ წოვიერთი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლები მხოლოდ გაკვეთილების ჩატარებით კმაყოფილებიან. გასისუბნისა და მანანასის საშუალო, მუშაუნისა და კალაურის რვაწლიან სკოლებში არ ჩატარდება კლასიკარეშე მუშაობა. ეს სკოლები იშვიათად, და მანანას გულად, გამოიღიან შეჯიბრებებზე.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი გვგვანდას. შრომის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლების გ. ნატროშვილისა და შ. ნაპირელის საშუალო სკოლაში დამოკიდებულების გამო რაიონულ ღონისძიებებზე გუნდები თურხე დირექტორ ი. ბაიჩაშვილის ხელმძღვანელობით ცდიან მათ.

— კიდევ ერთი წელი გვადრავთ, შემდეგ მომდინდით და დარწმუნდებით, რომ ფიზკულტურული კოლექციების უმეტესობაში ისე იქნება დაყენებული მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა, როგორც ამას ჩვენი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოითხოვენ! — გვითხრეს გამოშვიდობებისას...

ჩვენ გვჯერა მათი. სასოფლო-საწარმოო შრომის პარტიული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მონდობა, მათი საქმიანობის შემოადინებული შედეგობები ამის სრულ გარანტიას იძლევა.

წამატებას გისურვებთ, გურჯაანელებო! თქვენგანაც გვერბათ უძლიერესი რესპუბლიკის ნაჭრებ გუნდები!

ო. ბაღაშვილი (ჩვენი სპეც. კორ.)
გურჯაანი.

სპორტსმენები ქმნიან დოკუმენტს



თბილისის რბის კომინატში სპორტის ბევრი მოყვარულია. ისინი აქტიურად შრომობენ გემუბნის გადამკრებებით შესრულებისთვის, სამუშაოდან თავისუფალ დროს სრულყოფენ ფიზკულტურული მომზადების დონეს, შეჯიბრებებსა და საშატრო შესხედრებში იცავენ კოლექციების ღირსებას.

სურათზე: მარცხნივ — პირველადი რეკომენდაციის ნიშნულზე მტკობელი გ. კვათაძე ბოთლების ხარეცს მანქანასთან; მარჯვნივ — მეორეთარი რეკომენდაციის ნიშნულზე, მატერიული საწყობის აღმრიცხველი მ. ერიაშვილი. ფოტო შ. ზარგარინისა.

რასაც დასთეს, მას მოიხვი...

თბილისში არის ერთი ასეთი საწარმო — შე-6 საშვერლო ფაბრიკა. ში-ს 1.100-ზე მეტი მუშა-მოსამსახურედან ბევრია ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარული, ხეცვითი შეცდინეობის მსურველი. სამწუხაროდ მათ გატაცება არაფერ უწყებს ახგარისში.

არა, ისე სურავთ იფიქროს, თითქოს აქ არ იყოს ფიზკულტურული მუშაობის ხელმძღვანელი ორგანიზაციები — ფიზკულტურული საბჭო. მისი შექმნა არ დაფიქრებით, თავმჯდომარეც აირჩიეს (ა. ვალაღანია), დანაშენს ინსტრუქტორ-მეთოდისტიც (გ. საჭუაშვილი). იმით, ვინც სათანადოდ უნდა ჩადგომოდა მასობრივ — ფიზკულტურულ, სასპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, ერთხანს წინმუშავს კოლექციის, მაგრამ მანამდე, სანამ იმინი „ახლები“ იყვნენ და ვარგადაც ამართლებდნენ ანდაზას „ახალი ცოცხის“ შესახებ. მერე კი...

ღვინთვის ფიზკულტურული ორგანიზაციის ყოფნას იქმნე არყოფნაც ჯობდეს. თითონ განსაჯეთ! რა კოლექციურია ის, სადაც შექმნილი არაა რეგულარულად მომუშავე სპორტული სექციები, „მოწილი ხილად“ იქცა საფანრიკო პირველობანი, დაბალია ღონისძიებათა დონე. ჩოგბურთელთა ტურნირში მხოლოდ 5 ქალი და 2 ჯგუფი მონაწილეობდა. მოუგვარებელია აღრიცხვა, ჩაშლილია სპორტის პრობაგნდა, ფორმალურადაა შედგენილი სამუშაო გეგმები. არავის მოგონება ჯანსრთობლობის ჯგუფების შექმნა. თვევჭერისა და ნადირობის სექციები მხოლოდ ქადალდნენ „ჩამოყალიბებული“. დაბლდონეზე ტარდება საწარმოო ტანვარჯში. ფიზკულტურული საბჭო ცუდად

ზრუნავს საზოგადოებრივი კადრების მომზადება-გამოყენებისთვის. რაღა გასაკვირია, რომ „ხელმძღვანელებს“ მის ბაბეს საამქროთა ფიზკულტურულმა საბჭოებმაც.

მიმდინარე წლის განვილი პერიოდში ფაბრიკის მრავალრიცხოვანი არმიიდან არ მომზადებულა არც ერთი მშთნიშნისანი, თანრიგისანი, ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, ფიზიკი და სხვ. შარშანდღე მუშაობის დამაღასტრელებლად კი ამ კოლექციიდან „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოს წარმოუდგინეს ყალბი სტატისტიკური ანგარიში. ცხადია, ყოველივე ამას ადგილი არ ექნებოდა, რომ საკათსპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, ერთხანს წინმუშავს კოლექციის, მაგრამ მანამდე, სანამ იმინი „ახლები“ იყვნენ და ვარგადაც ამართლებდნენ ანდაზას „ახალი ცოცხის“ შესახებ. მერე კი...

ღვინთვის ფიზკულტურული ორგანიზაციის ყოფნას იქმნე არყოფნაც ჯობდეს. თითონ განსაჯეთ! რა კოლექციურია ის, სადაც შექმნილი არაა რეგულარულად მომუშავე სპორტული სექციები, „მოწილი ხილად“ იქცა საფანრიკო პირველობანი, დაბალია ღონისძიებათა დონე. ჩოგბურთელთა ტურნირში მხოლოდ 5 ქალი და 2 ჯგუფი მონაწილეობდა. მოუგვარებელია აღრიცხვა, ჩაშლილია სპორტის პრობაგნდა, ფორმალურადაა შედგენილი სამუშაო გეგმები. არავის მოგონება ჯანსრთობლობის ჯგუფების შექმნა. თვევჭერისა და ნადირობის სექციები მხოლოდ ქადალდნენ „ჩამოყალიბებული“. დაბლდონეზე ტარდება საწარმოო ტანვარჯში. ფიზკულტურული საბჭო ცუდად

სით დანტრესებულყოი პროფკავშირის საფანრიკო კომიტეტი, შეერყავდა, მსჯელობის საგნად გახდა შექმნილი მდგომარეობა, დანმარებოდა საბჭოს.

ამ დღეებში „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტიურის, მისი ინსტრუქტორ-მეთოდისტის უმთქმელობაზე და გ. საჭუაშვილი გაათავისუფლა სამუშაოდან.

ფიქრობთ, საკარტელოს მსუბუქი და საფეხრო მრეწველობის მუშაობა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი თავისი მსჯელობის საგნად გამდის ფიზკულტურისა და სპორტისადმი საფანრიკო კომიტეტის უსუფლებლო და-მოკიდებულებას და სათანადო ზომებისაკენ მიიღებს.

ბ. პინაპალინი, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მასობრივი მუშაობისა და კალერის განყოფილების გამგე.

ოსტატის ნორმა შეასრულა

გორში დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა საჯატაკმცილო ველორბოლაში. გუნდური ჩათვლაში გაიმარჯვა აფხაზეთის სპორტსმენთა კოლექციამ (მწვრთნელი ა. გუძი). მეორე ადგილზე გამოვიდა გარდაბნის რაიონის გუნდი (მწვრთნელი ნ. ტრეტიაკოვი), ხოლო მესამეზე — ზუგდიდის რაიონისა (მწვრთნელი მ. იბოლაძე). პირად ჩათვლაში 25 კილომეტრზე ერთეული სტარტით. საუკეთესო დრო

აჩვენა სოხუმელმა ვ. იურკევიჩმა — 36.16. ამ შედეგით მან ოსტატობის ნორმა შეასრულა. ქალთა შორის უძლიერესი იყო ვ. გეოგრაძე (აფხაზეთი), რომელმაც გაიმარჯვა პრიორამის სამ სანკობაში. 75 კილომეტრზე რბოლა საერთო სტარტით ა. გუძმა (აფხაზეთი) მოიგო.

ბ. გუნი, სპორტის ოსტატი.

ახალი კლასიფიკაციით

ხეალ თბილისში, 26 კომისიის სახელობას რაიონის სტადიონზე იწყება XIX რესპუბლიკური ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში. წინა წლებისგან განსხვავებით, ეს პირველობა გაცილებით დამაბული იქნება, რადგან საჯავშირო სპორტული კლასიფიკაციით ამ სახეობაში დამტკიცდა თანრიგობისა და ოსტატობის ნორმატები.

ტურნირში წარმატებით მონაწილეობისთვის დიდი ხანია სამხალისის შეუდგენენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მესანძრეთა ორგანიზაციები. მხადების თავიებური უბაბები გინგლეს თბილისელმა სპორტსმენებმა. გასული წლის ოქტომბრიდან დღემდე მათ მონაწილეობა მიიღეს სამ შეჯიბრებაში: ა. ჰაბუციანმა, ა. ვლასოვმა, ბ. შანიძემ და ვ. პეტროსიანმა შესარულეს ოსტატობის ნორმატები სხვადასხვა ვარიანტში (100 მეტრზე დამკრეობებით რბენაში, სიფირიო კაბით სანწავლო კომპლექსის IV სართულზე ასკლაში, სამშუსლიანი გასაშლელი კიბის III სართულზე დაყენებაში). კარგად არიან მომზადებულნი აგრეთვე მ. გოგიაშვილი, ვ. კოსტევი და ვ. ხანაშვილი.

სწორედ მათგანაა დაკომპლექტებული რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი —

გეზანძრეთა ასპარეზობა

თბილისის გუნდი. ძლიერი კოლექტივები გამოიყვანა აფხაზეთის, აჭარას, ქუთაისის, ფოთის, გორის, ბორჯომის, ოლუსთეს, გუგარას, სიღნაღის... მთლიანდენილა მეტად სანძრეთა-სო, დაძაბული ბრძოლები პრიორამის ყველა სახეობაში.

29 და 30 ივნისს ბორჯოლმა გაგრძელდა სახანძრო ორგანიზაციის ტერიტორიაზე, რომელიც საბურთალოს ქუჩაზე № 28-ში მიღებარეობს.

ბ. მთვალაშვილი, თბილისის სახანძრო დაცვის განყოფილების ინსპექტორი.

სურათზე: შესანძრე სპორტსმენები — 100 მეტრზე რბენის სტარტზე.

თბილისის გუნდი — პირველი



პირად ჩათვლაში საბარბო სპორტის განყოფილებაში მონაწილეებს:

შახმატი — ჩ. ქუციანი, თ. წამალაშვილი (ორივენი — თბილისიდან), ი. ჩუხრაძე (გორი).

შახმატი — ი. მერაბიშვილი (თბილისი), ბ. მანუჩაძე, თ. თამაძე (ორივენი — გორიდან).

პეიჯინგ — ბ. მარტოვილი (თბილისი), ს. ბაქტაძე (ქუთაისი), გ. ბაქრაძე (თბილისი) (კასპი).

მუსიკა — ვ. ჭავჭავაძე (თბილისი), ა. ოდიშელი (გორი), თ. გაბაშვილი (თბილისი).

პეიჯინგ — ი. ქუციანი (თბილისი), შ. რომელიძე (გორი), შ. გოგავა (თბილისი).

საშახმატო — ზ. ხალინდრაძე, გ. კახაბრიაშვილი, ს. ბურჯანაძე (სამივენი — თბილისიდან).

გორის საქმიანობა დაიწყო და მთავარი რეპრეზენტაციის პირად-გუნდური პირველობა სამბო-ში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, გორის, ქუთაისის, ქუთაისის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სპორტსმენები, სულ 100-მდე ცალი. შთაბრძნა ჩემპიონის სახელისთვის პირად ჩათვლაში იბრძოდნენ კასპის, სავარჯიშოს, სამხრეთისა და ახალქალაქის მოქილევები.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: 1. თბილისი, 2. გორი, 3. ქუთაისი.

საპარტველოს პირველობის მათამაშავის ცხრილი

მ.დ.წ.წ.წ.	თ	შ	ფ	წ	ბ	ქ	
„სამხრეთი“ ზუგდიდი	12	10	2	0	26	-2	22
„მეტალურგი“ რუსთავი	12	6	5	1	18	-9	17
„წინსვლა“ წულუკიძე	12	6	5	1	16	-9	17
„მასშტაბი“ მარნეული	12	6	5	1	17	-11	17
„სამხრეთი“ ჩოხატაური	12	5	4	3	18	-13	14
სპა თბილისი	12	4	4	4	12	-14	12
„ნაღვივარი“ თელავი	12	4	4	4	14	-17	12
„ლურჯი“ ყვარელი	12	4	3	5	11	-11	11
სპ. უნივერს. თბილისი	11	4	3	4	9	-12	11
„მამაძე-ბატონი“ ფოთი	12	4	3	5	13	-16	11
„სპარტაკი“ ცხინვალი	11	3	4	4	10	-11	10
„საირმა“ შიდაკოვსკი	12	4	2	6	11	-19	10
„მანანი“ თბილისი	12	3	3	6	17	-17	9
„ბალნეო“ ვაჟა-ფშაველას	12	3	3	6	26	-29	9
„მანანი“ ვლადიკავკასი	12	1	3	8	8	-28	6
„მანანი“ ხოლოძე	12	0	3	9	3	-14	3

სურათზე: ქუთაისის „ტორპედოს“ და ერევნის „არარატის“ ამაზაზღვრული შეხვედრის მომენტი. ჯ. ხაუალია (№ 11) ხსენის ანგარიშს.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური ნაკრები გუნდების მესამე, გადამწყვეტი მატჩი ფეხბურთში, რომელიც ხვალ გაიმართება ვარშავაში, დიდ ინტერესს იწვევს. ბერლინის გაზეთი „დოიჩე შპორტსაჟ“ ცნობით, იგი ჯერ დანიშნული იყო „ლევიას“ სტადიონზე, რომელიც 25 ათას მაყურებელს იტევს, მაგრამ მატჩზე დასწრების მსურველი ბევრად მეტი აღმოჩნდა. ამიტომ შეგეგდრა გადაიტანეს „10 წლისთავის“ სახელობის სტადიონზე, რომლის ტრიბუნებზე 75 ათასი მაყურებლის ადგილია.

გერმანულ მიმომხილველთა აზრით, მწვრთნელები: ა. შოში და კ. შტუდენერი იმავე შემადგენლობას გამოიყვანენ, რომელიც მოსკოვში თამაშობდა. შეკარე პაინში ვარშავაშიც დაიცავს კარს. კარგად ჩაატარეს შეხვედრები განაპირა მცველებმა პასიურმა და ურბანჩიკმა. განსაკუთრებით აქებენ ცენტრალურ მცველს ვალტერს, რომელიც თამაშობდა შეგეგდრა და თავგანწირულად, მან საპაირო დღეული მოგუო სევიდოვს, — წერს „დოიჩე შპორტსაჟ“.

ნახევარმცველები უნფერი და პანკაუ

ბალაეფეხი პირველი

პირველი წრის საბოლოო ცხრილი

სპეციალისტებს ბრძოლისუნარიან წყვილად მიაჩნიათ, რომელმაც მოედნის ცენტრი არ დაუთმო მეტოქეს. განსაკუთრებული ამოცანები დაუასახეს გუნდის მწვრთნელებმა უკან დასრულ თავდასხმელებს — კერნესა და კლეი-მინგერს. ისინი ნახევარმცველებს უნდა დახმარებოდნენ და ამავე დროს წინა ხაზზეც დროულად გასულიყვნენ. ეს ამოცანა ორივემ კარგად შეასრულა, ამასთან კლეი-მინგერი გოლის ავტორიც გახდა. კ. შტუდენერის აზრით, გერმანელთა ტაქტიკა, რომელმაც ასეთი სიძნელეები შეუქმნა სამტოთა თავდასხმელებს, არ იყო მხოლოდ თავდაცვითი. იგი ძირითადად ეყრდნობოდა მწვავე კონტრშტრუქციებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი, ცნობილი უნგრელი სპეციალისტი კ. შოში კმაყოფილია გერმანელთა თამაშით როგორც ლაიფციგში, ისე მოსკოვშიც. შოშის აზრით, მეორე მატჩში მისმა მითამაშებმა დროულად მოახდინეს „ტემპის ფორსირება“, როგორც კი საბჭოთა ფეხბურთელებმა



რამდენადმე უკლეს თამაშს. მწვრთნელი ოპტიმისტურადაა განწყობილი მესამე მატჩის წინ და აცხადებს, რომ მისთვის კარგადაა ცნობილი როგორ უნდა წარმართოს ბრძოლა ვარშავაში. ისევე, როგორც წინა მატჩებში, გერმანელები თავდასხმაში წინ წაწვეულ „ტრიოს“ — ფრესდორფს, ფრენცელსა და ფოგელს ამყარებენ ძირითად იმელებს, სამივე ფორვარდი დიდი უნერგიითა და ოსტატობით თამაშობს. მატჩი ვარშავაში საყოველთაო აზრით ძალზე დაძაბული უნდა იყოს.

ქადაგი

II კვალი

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში „ა“ კლასის მეორე კვალის გუნდებისთვის და მთავარი პირველი წრის მატჩები ორივე ქვეკვალიში.

I ქვეკვალიში ცენტრალურ მოედნის წარმომადგენელმა მატჩი ტამბენის „პახტაკორსა“ და ხარკოვის „აინგარს“ შორის, საჩოგველებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 4:1 და გადაინაცვლეს პირველ ადგილზე. „პახტაკორი“ მეორეზეა. რიგის „დაუგავი“ და ლენინგრადის „დინამო“ თამაშს ფრედ — 1:1, სკამ (ნოვოსიბირსკი) დამარცხებამ განიცადა დუშანბეს „ენერგეტთან“ შეხვედრაში — 0:1. ეს ბოლო მატჩი მეორე წრისაა.

პირველი წრის საბოლოო ცხრილი

მ.დ.წ.წ.	თ	შ	ფ	წ	ბ	ქ		
სპა (ოლესა)	13	8	5	0	18	-4	+14	21
„მასშტაბი“ (ყარაგანდა)	13	6	4	3	20	-11	+9	19
„მასშტაბი“ (ლევი)	13	6	3	4	19	-17	+2	18
„მასშტაბი“ (ზაპოროჟიე)	13	4	6	3	11	-8	+3	14
„მასშტაბი“ (სევეროდონოსკი)	13	6	2	5	13	-11	+2	14
„მასშტაბი“ (ვოლგოგრადი)	13	5	4	4	14	-18	-4	14
„მასშტაბი“ (თბილისი)	13	4	5	4	13	-10	+3	13
„მასშტაბი“ (მოსკოვი)	13	7	3	12	-11	+1	13	
„მასშტაბი“ (ერევანი)	13	4	4	9	-10	-1	13	
„მასშტაბი“ (ტალინი)	13	5	5	5	12	-13	-1	11
„მასშტაბი“ (ვორონეჟი)	13	4	3	6	12	-15	-3	11
„მასშტაბი“ (დნეპროპეტროვსკი)	13	4	3	6	12	-17	-5	11
„მასშტაბი“ (გომელი)	13	2	5	6	6	-13	-7	9
„მასშტაბი“ (ფრუნჯე)	13	2	4	7	11	-24	-13	8

II ქვეკვალის ლიდერმა — ოლესის არმიელთა გუნდმა კიდევ ერთი ქულა დაკარგა საკუთარ მიწიდან (ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ — 1:1) და მიუხედავად ამისა, მინც ინარჩუნებს პირველ ადგილს. ვორონეჟის „ტრუდმა“ მოუგო მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 3:1, ხოლო ტალინის „დინამომ“ — „ურალმას“ (სევეროდონოსკი) — 1:0. მეორე წრის მატჩი შედგა ფრუნჯეს „ალგასა“ და გომელის „სპარტაკს“ შორის. გაიმარჯვა „ალგამ“ — 2:0.



საქართველოს სსრ

„ამ მსუქან ახმახს ასლავე ნო-გუნდში ჩააგდებენ!“ — ასე ფიქრობდა მაყურებელი, როცა რიხზე გამონდა 153-კილოგრამიანი ბასტერ მეტისი. ამავე ასრისა იყო ამერიკის შეერთებული შტატების მოყვარულ ათლეტთა კავშირის მწვრთნელი ემპი გოულტი, როცა მან პირველად წინა თვისის მომავალი აღსაზრდელი, აი, გაისმა გონის ხმა და „ქინის გორა“ უფრო სწრაფი გამოდგა მეტოქეზე, რომელიც მასზე 50 კილოგრამით ნაკლებს იწონინდნენ. ამჟამად ამერიკელები ბასტერ მეტისს მომავალი ოლიმპიადის ჩემპიონად თვლიან. იგი იმ 80 მოკრივის რიგებში შედიოდა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამა წინათ წიუ-იორკში მოწყობილ შესარჩევ შეჯიბრებაში. მეტისმა I ადგილი დაიკავა თავის წინათ კატეგორიაში. ფინალში მან ქულებით დაამარც-

ჩინგვე „მსუქანი ბასტერი“

ხა დ. ფრუნჯე, რომელიც მასზე 45 კილოგრამით ნაკლებს წონისა იყო. ამ ბრძოლის დროს ბასტერი იწონიდა 128 კილოგრამს (მისი სიმაღლე 190 სანტიმეტრია). 20 კილოგრამი მოკრივემ დაიკლო შეჯიბრების წინა ვარჯიშებში, ხოლო 5 — წინა დღე დაწყების პირველ დღეს. ტოკიოს ოლიმპიადამდე ბასტერს „გადაწყვეტილი“ აქვს იწონიდეს 124 კილოგრამს. სისწრაფის გამო მთავრების მიზნით იგი შეხვედრებს ატარებს მსუბუქი წონის მოკრივეებთან, ხანდახან ორთხან ერთდროულად, ამბობენ, რომ ერთხელ იგი „დაუჭერა“ ორ მეტოქეს და მათ ერთმანეთი ნაკლებში ჩააგდეს. მეტისი 19 წლისაა. მამამისი 135 კილოგრამს იწონიდა, ხოლო ოთხი მამა — 95-დან 125 კილოგრამს, მესუთე მამა „მსუბუქი“ იყო — 72 კგ. სულ რაღაც ოთხი წლის წინათ ბასტერი მხოლოდ 54 კილოგრამს იწონიდა, ძალზე სუსტი ჭაბუკი იყო თანასაკლავლები ხშირად სცემდნენ. 15 წლიდან ბასტერს ძალა მოემატა. ამაში მას დაეხმარა სპორტულ სარბიულზე გამოსვლა, ფეხბურთის თამაში. ბასტერი ძალიან სწრაფია: ამბობენ, 100 იარდის გარბენას 10,9 წამს ახდომებო. ბასტერმა, როგორც მოკრივემ, თავისი კარიერა დაიწყო 3 წლის წინათ და ამ განაფხულზე იგი აშშ-ის ჩემპიონი გახდა შიმე წონაში. ცხოვრებაში ბასტერი გულთბილი და მთავარი ჭაბუკი, ამერიკის ოლიმპიური გუნდის სულე და გულია. იგი შესარჩევ ტურნირში გამარჯვებულ 17 წლის მსუბუქი წონის რომ ჭარბობდა ცხოვრობს ერთ ოთახში. მისი ხშირად ბავშვებზე კინკლაობენ. პარისი იმუქრება, რომ ძალას მოიმატებს და სცემს მეტისს. „შენთვის უკეთესია საბარგო ავტომანქანა დაეკავას“, — უპასუხებს ხოლმე ბასტერი. შიმე წონის მეტისი თავის მეტ-

ლობზე, ძლიერია აგრეთვე ამ წონითი კატეგორიის მოკრივე, 16 წლის ჯესი ვალდესი, რომელიც მორისთან დამარცხდა და გუნდის სათადარიგო წევრია. მანინ მსაჯების გადაწყვეტილება სადავო იყო. ფიქრობენ, რომ თუ ფრილო ავად გახდებოდა, ვალდესი არანაკლები წარმატებით გამოვა. იგი დახვეწილი ტექნიკის და დიდი ენერჯის მოკრივეა, რითაც განსხვავდება სხვა ამერიკელი სპორტსმენებისგან.



დაუცხრომელი წყარო-სავით ჩქარვს სპორტული ცხოვრება ჩვენს პლანეტაზე. ერთ-მანეთს უჯიბრებიან ძალოსნები, მძლეოსნები, ჩოგბურთელები, ველოსიპედისტები, ფეხბურთელები, ფრენბურთელები... მწვევე და საინტერესო მეჯობრებებით აღინიშნა ეს დღეებიც სამყაროს სხვადასხვა ქალაქის სტადიონებსა და მოედნებზე. ბევრ მათგანში საბჭოთა სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა.

მოსკოვში 25 ივნისს დაიწყო ევროპის მე-40 ჩემპიონატი სიმძიმეთა აწვევაში. ასპარეზობის დღეები მიძღვნილი სახეობა ცერემონიალის შემდეგ ფიცარნაზე გამოვიდნენ მჩატე წონის ძალოსნები. შეჯიბრება აღინიშნა 27 წლის საბჭოთა შტანსტის ვ. მარზაგულაშვილის შესანიშნავი გა-

ჩვენნი კლანდები სპორტული „სამენი“

მარჯვებით. მან სამკედის ჯამში მთელი 10 კილოგრამით გასწრო თავის უახლოეს მეტოქეს, მოაგროვა 325 კგ და ჩვენს გუნდს პირველი ოქროს მედალი შეძინა. მეორე ადგილზეა ხალი (უნგრეთი), მესამეზე — რევი (გერ).

თბილისელმა ველოსიპედისტმა თ. ფსაკაძემ კვლავ გამარჯვებით აღინიშნა თავის მორიგი გამოსვლა ტულაში. ჩვენი ქვეყნის სხვა ველოსიპედისტებთან ერთად იგი გამოვიდა „დიდი ქიმიის“ თასის გათამაშების სტარტზე. სპრინტერული რბოლის ფინალში ფსაკაძემ მწვევე ბრძოლის შემდეგ მოუგო ცნობილ ტულელ სპორტსმენს ბ. რომანოვს და დასაკურთხა პრიზი — „ტულის სამოვარი“.

შეჯიბრების პროგრამის ახალ სახეობაში — „იტალიურ კილომეტრზე“ რბოლაში გამარჯვებს ლენინგრადელი მ. მისკინმა და ა. ბელგარდმა — 1.03,5. მათივე წარმატებით დამთავრდა 4 კილომეტრზე გამოდევნებით წყვილთა რბოლა — 4.39,1.

სასაიამოვო სიურპრიზი იყო ახალგაზრდა ტულელი სპორტსმენის ვ. გულიაევის გამარჯვება ჯგუფურ რბოლაში 75 წუთზე.

პრიზი მოიპოვა აგრეთვე ხარკოველმა — ირინე კირიჩენკომ, რომელმაც 500 მეტრზე აჩვენა 38,3 წამი.

საბჭოთა კავშირში გამოსვლებს განაგრძობს იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრები „ბ“ (სამშობლოში მას მსოფლიო ჩემპიონის ორეულს უწოდებენ).

მორიგი მატჩი იაპონელებმა გამართეს რიგაში, სადაც ისინი სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს

შეეჯიბრენ. ანგარიშით 3:1 (8:15, 15:6, 15:12, 17:15) გაიმარჯვეს ჩვენმა ფრენბურთელებმა.

ღონდონში უმბლდონის კორტებზე გაიმართა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირის მორიგი შეხვედრები. დამარცხების სიმწარე იგვეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებმა — ა. დმიტრიევამ და თ. ლეიუსმა. მოსკოველი ჩოგბურთელი ქალი პირველ წრეში შეხვდა მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონს კ. ხენტიუ-სუსებს (აშშ). მაგრამ მათი შეხვედრა დაბინდების გამო შეწყდა მაშინ, როცა ანგარიში იყო 6:4 და 2:1 დმიტრიევას სასარგებლოდ. მეორე დღეს მეტოქენი კვლავ გამოვიდნენ საასპარეზოდ. ბრძოლა უაღრესად მძაფრი და წარმატებით გამოდგა. გაიმარჯვა ამერიკელმა — 4:6, 6:3, 7:5. ლეიუსმა წააგო მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელთან მ. სანტანასთან (ესპანეთი) — 4:6, 3:6, 3:6. ტურნირის გამოვითმა ს. ლინაროვიც.

ამრიგად, საბჭოთა ჩოგბურთელთაგან ტურნირში მხოლოდ თბილისელმა ა. მეტრეველმა განაგრძო ბრძოლა. მან წარმატებით ითამაშა ამერიკელ მაკ-მანუსთან (6:2, 2:6, 6:4, 10:12, 6:4) და პოლანდიელ ოკერთან (2:6, 7:5, 6:4, 6:2). მომდევნო ტურში მეტრეველი სახმრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელს — სეგალს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ამ ქვეყნის მთავრობის რასისტული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მეტრეველმა სეგალთან თამაშზე უარი განაცხადა.

სხალი გამარჯვებით აღინიშნა თავიანთი გამოსვლები შევიცარიაში მყოფმა ჩვენმა მძლეოსნებმა — ვ. ბრუმელმა და ი. ტურ-ოვანესიანმა.

ბრუმელის შედეგი სიმბლენზე ხტომაში ამკურალ 217 სმ იყო, ტურ-ოვანესიანის სიგრძე ხტომაში — 74 სმ. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენს პ. ბოლოტნიკოვმა თავი გამოაჩინა მისთვის უჩვეულო დისტანციაზე რბენაში — 1.500 მეტრზე, მოსკოველმა ფინიშთან მეხუთემ მიიღობინა (3.55,0). გამარჯვებულის — ფრანგ ბერნარის დროა 3:47,6.

მეგრანოში, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ასურტიან შაში, კვლავინდებურად ლიდერობენ საბჭოთა დამსტრატები ვ. შრიგოლევა და ი. კუპერმანი. პირველმა VII ტურში დაამარცხა ლიმაინი (ჩეხოსლოვაკია), ხოლო მეორეში — ფანელი (იტალია). 8 ტურის შემდეგ მხოლოდ 7,5 ქულა აქვს. მას 1,5 ქულით ჩამორჩება კუპერმანი.

წარმატება მოიპოვა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრებმა. ვროცლავში მან ანგარიშით 3:0 მოუგო ამხანაგურ საერთაშორისო მატჩი პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებს. ბურთები გაიტანეს ფედოტოვმა (2) და პოლიკაროვმა.

მწვევე ინტერესი გამოიწვია პარიზში დამთავრებულმა „ოთხი კლუბის“ ტრადიციულმა ტურნირმა. წელს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ანდერლექტი“ (ბელგია), „რემისი“ (საფრანგეთი), „ბორუსია“ (გერ) და „სანტოსი“ (ბრაზილია). პირველ ტურში სენსაციური გამოიწვია ბრაზილიელთა (მათ რიგებში არ იყო პეულე) მარცხმა გერმანულ ფეხბურთელებთან შეხვედრაში — 1:3.

ასეთივე ანგარიშით „ანდერლექტმა“ მოგვიარეობს.

„პარკ დე პრენის“ სტადიონის ტრბუნები გაათავა გადამწყვეტი მატჩის შედეგად: ბელგელებმა მიიღობინა განადგურებს „ბორუსია“ — 5:2. მათ დიკავეს I ადგილი. „სანტოსისა“ და „რემისის“ თამაში ფრულ (1:1) დამთავრდა.



ოლიმპიური თამაშებისთვის შაადების ცხარე დღეებში მკვეთრად იმატა მძლეოსნთა მარჩვენებლებმა, რაც ტოიოში უაღრესად მწვევე ბრძოლებს გვიპირდება. თითქმის დღე არ გადის ისე, რომ ხუთივე კონტინენტის მძლეოსნებმა მაღალი შედეგებით არ გაგვახარონ (ბრუმელი — 224 სმ, პოლონელი კომარი — ბირთვი, 19,50 მ და სიდლო — შუბი, 83,01 მ და სხვა მრავალი).

სურათზე: იტალიელი სპრინტერი სერჯიო ოტოლინი, რომელმაც ამას წინათ ციურბის სტადიონზე 100 მეტრი გაიბრინა 10,3 წამში.

პირველად ჩვენში...

საათოთა კავშირის პირველად ესტუმრა ალკირის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები. ხელო მოსკოვში ალკირელები შეხვედრიან ადგილობრივ „სპარტაკს“. სტუმრები მორიგ მატჩებს გამართავენ 1 ივლისს (რსფსრ-ს ნაკრებთან) და 4 ივლისს (უკრაინის ნაკრებთან). რსფსრ-სა და უკრაინის გუნდებში ითამაშებენ „ბ“ კლასის ოსტატი ფეხბურთელები.

ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიან აგრეთვე ბრაზილიის ცნობილი კლუბის „ფლამენგოს“ ფეხბურთელები. ისინი აშხანაგურ საერთაშორისო მატჩებს გამართავენ ვოლგოგრადის (5 ივლისს), ვინიცის (8 ივლისს), კიშინიოვის (11 ივლისს) და კიევის (14 ივლისს) სტადიონებზე.

სტატისტიკოსის აზრით

ინგლისელი სტატისტიკოსი ვ. ჯეფრი აქვეყნებს საინტერესო მონაცემებს, სადაც ერთმანეთს ადარებს ინგლისისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს ფეხბურთში. ინგლისელებმა 1872 წლიდან ჩაატარეს 370 მატჩი 33 სხვადასხვა ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ. აქედან მოაგროვეს შესაძლებელ ქულათა 68,78 პროცენტი. თეთულ თამაშში მათ საშუალოდ გაჰქონდათ 2,15 გოლი. სსრ კავშირის ნაკრებმა 27 ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ მატარებულ 73 მატჩში მოაგროვა შესაძლებელ ქულათა 74,11 პროცენტი. თეთულ თამაშში საბჭოთა ფეხბურთელებს გაჰქონდათ 2,38 გოლი. სტატისტიკოსი დაასკვნის, რომ უდავო უპირატესობა საბჭოთა ფეხბურთელების მხარეზეა.

მ. ნ. ალიუზილი

გარდაიცვალა ახალგაზრდა ნიჭიერი მოფარიკავე, სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი, სპორტის ოსტატი მალხაზ ნიკოლოზის ძე ალიუზილი.

სულ 20 წელი იცხოვრა ქართული ფარიკაობის ამ ერთ-ერთმა მრავალსაბჭოთა მემკვიდრე იმედმა (დაიბადა 1944 წელს), სულ რამდენიმე წელი ეკავა ხელში იარაღი და გზას მიიკვლევდა საყვარელ სპორტულ სახეობაში, მაგრამ ამ მცირე ხნის მანძილზე მოასწრო შესანიშნავი წარმატებების მოპოვება რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზობებზე, მოხვედრა საყოველთაო აღიარება და პატივისცემა თავისი ხალასი სპორტული ნიჭისა და დიდი შრომისმოყვარეობის მეშვეობით.

მალხაზ ალიუზილი იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხმლით მეტრძოლ ქაბუტა (1962 წელს) და იუნიორთა (1963 წელს) შორის, გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე. მან სამჯერ მოიპოვა ჩემპიონის წოდება ხმლით ბრძოლაში რესპუბლიკურ ასპარეზობაზე, ორჯერ „ბურევესტიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე და მრავალი შესანიშნავი გამარჯვების ავტორი გახდა საერთაშორისო შეხვედრებში. მ. ალიუზილი ჩვენი ქვეყნის სპორტულ დღეების იცავდა, იუნიორთა 1964 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. ამ შესანიშნავი სპორტული მარჯვ-



ნებლებისთვის ახალგაზრდა მოფარიკავე დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საკავშირო ალკ კენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, კომკავშირის წევრი მ. ნ. ალიუზილი ყოველთვის იყო ბეჯითი, გულისხმიერი, თავმდაბალი ახალგაზრდის ნათელი ნიმუში. ასევე ნათელი იქნება მისი ხსოვნა მეგობრთაშხანათა, უფროს და უმცროს კოლეგებს შორის.

საპატივდლოს უპირატესად რედაქტორი მ. კაპაბაძე.

ლ. სპოს წარმატება

ზაბრბი. აქ დამთავრდა საიუბილეო საერთაშორისო საქარაკო ტურნირი, მაძღვნილი პორეატის დედაქალაქის საქარაკო კლუბის არსებობის 60 წლისთავისადმი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14 ცნობილი მოქარაკი უნგრეთიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან, იუგოსლავიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

პირველი ადვილი დაიკავა უნგრელმა დიდოსტატმა საბომ, რომელმაც 9,5 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ დიდოსტატი პარმა და ოსტატი მაროვიჩი (ორივენი — იუგოსლავიიდან) — 9 ქულა თვითიულს. ბერტოკმა (იუგოსლავია) 8,5 ქულა მოაგროვა, დიდოსტატმა მატანოვიჩმა, ოსტატებმა ფედერერმა და დამიანოვიჩმა (ყველაბი — იუგოსლავიიდან) — 8 თვითიულმა, დიდოსტატმა ულოვიჩიჩმა (იუგოსლავია) — 7.



▲ ბელბრადი. იუგოსლავიის ტენივარჯიშეთა ჩემპიონატში წარმატებას მიაღწია ევროპის ერთ-ერთ უძლიერესმა სპორტსმენმა მ. ეტარამა. მან ყველა ნორალე ვარჯიშში პირველი ადვილი დაიკავა: რგოლები — 19,40, ხტომა — 19,05, ღერძი — 18,90, ტოპი — 19,70, ორმელი — 19,60, თავისუფალი ვარჯიში — 19,20 (მრავალქულში — 115,85 ქულა).

▲ სტოპკოვში. საერთაშორისო ტურნირში წარმატებას მიაღწია 19 წლის ფინელმა მძლეოსანმა ი. ტუომინენმა, რომელმაც 400 მ თარგრბენში გააუმჯობესა ფინეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების რეკორდი — 50,5.

▲ ქელსინკი. ბალროს მტყორცნელმა, 33 წლის პ. რეპომ ფინეთისა და

ჩრდილოეთის ქვეყნების ახალი რეკორდი დაამყარა. მისი შედეგია 58,58 მ.

▲ პარდიში. 55-იარაღი საცურაო აუზში რ. მაკგრეგორმა მაღალი შედეგი აჩვენა 110 იარღზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 54,1.

▲ პრილეკი (იუგოსლავია). რკინიგზელთა ადგილობრივი კავშირის მიწვევით იუგოსლავიაში ტურნის ატარებს ალმა-ატის „კაირატი“. პრილეკის ფეხბურთელებთან მატჩი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 2:0. მეორე შეხვედრა სტუმრებმა ქალაქ ნიშიჩ ჩაატარეს „მელუნსჩართან“ და დამარცხდნენ — 2:3. ზაგრების „ლოკომოტივთან“ მატჩი „კაირატმა“ მოიგო — 3:1.

▲ ქააგა. დამთავრდა პოლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატი. გამარჯვა დეს-ი კლუბის გუნდმა, რომელმაც მეექვსედ მოიპოვა უძლიერესის საპატიო სახელი.

ირანს — ვიზიტით

თბილისიდან ირანს გაემგზავრა საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი. მის შემადგენლობაში არიან ც. აბუაშვილი, ნ. აბუთოძე, ნ. იმედაშვილი, ლ. ზაზაიუშინა, ნ. რუსაძე, გ. ჟღენტო, მ. გოვლიძე, ვ. ხაშურატილი და სხვ. გუნდს ახლავან მწვერთველი ე. ანტონოვი და მსაჯი ი. ნიკოლაიშვილი. სპორტულ დელეგაციის ხელმძღვანელობს ვ. სამსობაძე. ქართველი სპორტსმენები ირანში ჩაგდნენ 29 ივნისს. აქ ისინი ჩაატარებენ რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრას.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-52, მასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

